N 8242
16.05.18.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

(„ქალთა მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილ პეტიციასთან დაკავშირებით - #6394, 26.04.2018)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 15 მაისის კომიტეტის სხდომაზე განიხილა „ქალთა მოძრაობის“ მიერ მომზადებული პეტიცია (თან ახლავს 1 000 პირზე მეტი ელექტრონული ხელმოწერა) გენდერული ნიშნით მკვლელობისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლის ან დამამძიმებელი გარემოების შემუშავებასთან დაკავშირებით.

პეტიციის შინაარსი

პეტიციის თანახმად, ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოში **იმატა ქალების მკვლელობის ფაქტებმა,** რომლებიც, უმეტესად, ჩადენილია გენდერული ნიშნით (ფემიციდი). ფემიციდი თავისი არსით დისკრიმინაციული დანაშაულია, რაც გულისხმობს ქალების სიკვდილით დასჯას მათივე გენდერის გამო. დამნაშავე ქალს ხშირად სიკვდილით სჯის ისეთი საქციელისთვის, რომელიც მისი აზრით, მსხვერპლს არ შეეფერება სქესის (გენდერის) გამო.

პეტიციაში აღნიშნულია, რომ ოჯახური დანაშაულების უმრავლესობა ქალების წინააღმდეგ არის ჩადენილი, რითაც **ვლინდება დანაშაულის გენდერული ხასიათი.** საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ფემიციდს და, შესაბამისად, იგი ისჯება როგორც სხვა ნებისმიერი მკვლელობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პეტიციის ავტორები მიუთითებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ფემიციდის აკრძალვის მიზნით სპეციალური მუხლის ან გენდერულად მოტივირებული მკვლელობისათვის დამამძიმებელი გარემობის შემუშავების აუცილებლობაზე.

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

ამასთან, ავტორთა მოსაზრებით, ფემიციდისათვის სასჯელის სახედ უნდა განისაზღვროს 13-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სხვა დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში - უვადო თავისუფლების აღკვეთა.

პეტიციის შეფასება

კომიტეტმა, პეტიციის განსახილველად მიღების საკითხთან დაკავშირებით მსჯელობისას, მიიჩნია შემდეგი:

- პეტიციაში დასმული საკითხი აქტუალურია და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 240-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი პრობლემიდან გამომდინარე საკითხს;
- შესაბამისად, დამატებით მსჯელობას საჭიროებს საკითხი, საკმარისია თუ არა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი რეგულაციები პეტიციაში დასმული პრობლემის - გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობაზე (ფემიციდის) სათანადო რეაგირება-პრევენციისათვის.

კომიტეტმა, ასევე გასათვალისწინებელ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებთან და შესაბამის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ პეტიციაში დასმული საკითხების განხილვა მოხდეს უფრო კომპლექსურად, დაეფუძნოს ანალიზს და ექსპერტებთან ერთად მოხდეს პოზიციების შეჯერება.

დასკვნა

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 240-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია პეტიციის შესწავლა და განხილვა.

პატივისცემით,

ეკა ბესელია

კომიტეტის თავმჯდომარე